საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

KA030637550323819

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/2891 **02 / აგვისტო / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 24 ივლისის N 01 – 237/ო ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) მიმდინარეობს რეორგანიზაციის პროცესი (''სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში მოსალოდნელი რეორგანიზაციის შესახებ'' გენერალური დირექტორის 2019 წლის 24 ივლისის N 06-138/ო ბრძანება), შესაბამისად ცენტრმა შეიმუშავა საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განახლებული ვერსია ცენტრის ფუნქციებიდან და 2018-2022 წლების სტრატეგიის მიმართულებებიდან გამომდინარე.
''საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის N 107 ბრძანებით, ცენტრი საქმიანობას განახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალი ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ფარგლებში, რომლებიც დეტალურად არის გაწერილი ცენტრის სტრუქტურული ერთეულების დებულებებში.
ძირითად სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით და არსებული გამოწვევების და ქვეყნის განვითარების მიზნების საპასუხოდ, გასული წლის აგვისტოში ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა ახალი სტრატეგია, რომლის მიხედვით განსაზღვრულია 7 ძირითადი მიმართულება: გადამდები დაავადებები; არაგადამდები დაავადებები, გარემო და ჯანმრთელობა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობები; სამეცნიერო საქმიანობა, ჯანდაცვის ინფორმაციული სისტემები და ჯანდაცვის სისტემის მართვა.
ცენტრის მომდევნო წლების ერთ - ერთი უპირველესი პრიორიტეტია კლიმატის ცვლილებისა და გარემო ფაქტორების ზემოქმედებით განპირობებული შესაძლებლობების და სიკვდილიანობის პრევენცია; ამასთანავე, ცენტრს ემატება გარემოს ჯანმრთელობის კუთხით რთული მიმართულება, ''გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი-''ს ქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ევალება მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელება, მათ შორის სტრატეგიული გარემოსდაცვით შეფასებისთვის (სგშ) კომპეტენციის ფარგლებში სკოპინგის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვა და სკოპინგის დასკვნის გაცემა და სგშ-ის ანგარიშთან და სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება, ამ პროცესებში სამინისტროსთან ერთად უნდა ჩაერთოს ცენტრის შესაბამისი თანამშრომლების გუნდი. ასევე, ცენტრი წარმოადგენს ''2018 -2022 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEHAP -2) შესასრულებლად შექმნილ გარემოსა და ჯანმრთელობის ეროვნული სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N 828 განკარგულება) და ასრულებს ამ განკარგულებით დამტკიცებული დებულების მოთხოვნებს, ასევე, ცენტრს, თავადაც აქვს შესამუშავებელი, ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის მიხედვით შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების პროექტები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შიდა სტრუქტურული ცვლილების საფუძველზე გაძლიერდეს ცენტრის გარემოს ჯანმრთელობის სამმართველო და შეიქმნას გარემოს

ჯანმრთელობის დეპარტამენტი, რომელშიც, ამ ეტაპზე, შეიქმნება ერთი - გარემოს რისკ- ფაქტორების შეფასების და მონიტორინგის სამმართველო. ამ საკითხთან დაკავშირებით, გვინდა დამატებით მოგახსენოთ, რომ ცენტრში მიმდინარე ევროკავშირის დატყუპების პროექტის (TWINING) დასრულების შემდგომ, სამუშაო ჯგუფის საბოლოო ანგარიშის თანახმადაც, ექსპერტების მიერ, რეკომენდირებულია ანალოგიური გაძლიერების საკითხი. აღნიშნული დეპარტამენტი კოორდინაციას გაუწევს ''საზოგადოებრივი ჯანდაცვის, გარემოსა და პროფესიულ დაავადებათა ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვლდებულებების ხელშეწყობის'' სახელმწიფო პროგრამას, სამომავლოდ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საერთაშორისო ტიპის გარემოს სინჯების კველევის ლაბორატორიის ჩამოყალიბებას, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქვეყანაში ტყვიის პრობლემის გამოკვეთასთან დაკავშირებით და განახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციასაც.
ცენტრის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება გულისხმობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების მართვის გაძლიერებას, სადაც წამყვანი როლი ცენტრს უჭირავს, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებითა და თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვილი ცხრა რეგიონული სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით, რომლის საშუალებით კოორდინაციას უწევს ქვეყნის მასშტაბით არსებულ მუნიციპალურ საზჯანდაცვის ცენტრებს. უფრო მოქნილი და გამართული მუშაობისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გაერთიანდეს დღეს არსებული ორი სტრუქტურული ერთეული - სახელმწიფო პროგრამებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტები და შეიქმნას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებისა და რეგიონული მართვის დეპარტამენტი.
აღნიშნული შიდა სტრუქტურული ცვლილებები დაკავშირებული არ არის შტატების ზრდასა და ახალ ფინანსურ ვალდებულებებთან.
ქალბატონო ეკატერინე, ''საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ'' საქართველოს კანონის მე -12 მუხლის პირველი პუნქტის ''დ'' ქვეპუნქტის შესაბამისად, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრის 2019 წლის საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის განახლებულ პროექტს, რომლის შესახებაც წინასწარი კონსულტაციები გავლილია კურატორ მინისტრის მოადგილეებთან.
გთხოვთ, თქვენს თანხმობას.
(დანართი თან ახლავს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე